განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სამტრედია, დიდი ჯიხაიში) განხორციელებული ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** |
| **ქეთევან ბოტკოველი** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი |
| **წევრები:** |
| **თამარ ახალაძე** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი |
| **ინგა ბოჭოიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

*თბილისი, 2019*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების სახელწოდება:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** სსიპ

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 211349192

■ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

□ **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება**

□ **პროფესიული კოლეჯი**

□ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 26 მარტის N 211 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - თამარ ახალაძე და ინგა ბოჭოიძე) 2019 წლის 10 და 11 აპრილს განახორციელა ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი ჯიხაიში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი - „მეფუტკრეობის“, „მევენახეობის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას, ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან ერთად. მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლის კუთხით და იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა მიმართ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნულ კითხვებზე მათ მოისმინეს პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებები.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმები, პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, ადამიანურ რესურსთან გაფორმებული ხელშეკრულებების შრომის კოდექსთან შესაბამისობა, პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა არსებულ რესურსთან და მათი ფლობის დოკუმენტაცია.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ასევე მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება (შენობა, აუდიტორიები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა), განხორციელდა ვიზიტები საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე: შპს „სკა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზა.

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს გაწეული მუშაობა პროგრამის განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან ერთად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-

*თბილისი, 2019*

დაწესებულების წარმომადგენლებმა და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან.

რამდენადაც დიდ ჯიხაიში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მხოლოდ პროფესიული პროგრამების განხორციელებას გეგმავს, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ის ვერ შეუშლის ხელს აკადემიური პროგრამების განხორციელებას და არ გამოიწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

**III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი სამი პროგრამისთვის:**
**მევენახეობა** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობაში;
**ბუღალტრული აღრიცხვა** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში;
**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | | | |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების | **მუხლი 7 /** | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



–

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | | | |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მინიმუმ ერთი პირი; | | | |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |

### III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი მეფუტკრის - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში - პროგრამისთვის:

| **სტანდარტი** | **ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი** | **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** | **სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული** |
|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | **მუხლი 6** | ☐ | ■ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | □ | ■ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმები | | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | | | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | | | |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიული სტუდენტებისათვის; | | | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო** | | **მუხლი 8** | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-

*თბილისი, 2019*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაწესებულების ადამიანური რესურსი | | | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



-

*თბილისი, 2019*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული სხდომის დადგენილება № 15-ის თანახმად, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა ტექნიკური უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე უკვე მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნის შემდეგ კი მოხდა მათი თემატური გაერთიანება ერთი ფაკულტეტის ფარგლებში, რომლის სტრუქტურაშიც გაერთიანებულია და ფაკულტეტის საბჭოს დაქვემდებარებაშია აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახ, აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი. კოლეჯს მრავალწლიანი ისტორია აქვს, ის 1925 წელს ქართველი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით, სერიოზული ეკონომიკური კვლევების შედეგად, თავისსავე მამულში, როგორც სამეურნეო სკოლა გაიხსნა. სკოლის შექმნის მიზანი გახლდათ იმერეთის რეგიონის სათანადო საწარმოო-ტექნიკური კადრებით უზრუნველყოფა, რაც ასევე წარმატებით ხორციელდებოდა. 2012 წლის სექტემბრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით და მისი თანამოაზრეების მხარდაჭერით კოლეჯმა ახალი სიცოცხლე დაიბრუნა და მასში ოცდაათამდე პროფესიული პროგრამის განხხორციელება დაიწყო. დღესდღეობით საგნობრივი პროგრამების სწავლება დამთავრებულია და კოლეჯის წარმომადგენლები სრულ მზადყოფნას გამოხატავენ მოდულური პროგრამების განსახორციელებლად. ტექნიკურ უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის სტრუქტურით განსაზღვრული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფი აქტიურ დახმარებას უწევს მათ ამ საქმეში.

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

კოლეჯში ხარვეზი არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**მიგნებები და რეკომენდაციები:**

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწესებულებამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით. გეგმაში რეკომენდაციების განხორციელება დასრულდება 2019 წლის ივნისის ბოლოსთვის. ამიტომ რიგ რეკმენდაციებს აღარ ვიმეორებთ. რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია.

- 1.1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს მეთოდოლოგია, რომელიც გამორიცხავს მოდულურ პროგრამებში ტექნიკური შეცდომების არსებობას.
- 1.2. კატალოგში დარჩენილია 1 პროგრამა - ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) - რომელსაც დიდი ჯიხაის კოლეჯი ადრე ახორციელებდა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამ პროგრამის კატალოგიდან ამოღებასთან დაკავშირებით;
- 1.5. ექსპერტების მიერ კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, რომ მოიძიონ და გააფორმონ მემორანდუმები სხვა დაწესებულებებთანაც, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, სრულად დააკმაყოფილონ და უზრუნველყო სტუდენტთა მოთხოვნები;
- 1.6. კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) განხორციელების შეფასების წესის შექმნასთან დაკავშირებით;
- 2.3. დაწესებულებაში ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ სივრცეში, რომლის გათბობაც და მოვლაც შენობის სიძველის გათვალისწინებით, სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნადი ფონდის დიდი ნაწილიც მოძველებულია და საჭიროებს ჩამოწერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

ამიტომ ჩვენი მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამავე სართულზე არის საკმაოდ კარგი ოთახები, რომლებიც ბიბლიოთეკისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული;

- 2.3. ექსპერტების მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ამ 4 მოდულური პროგრამისთვის აუცილებელი ლიტერატურა, რომლებიც არ აქვთ ადგილზე ბეჭდური სახით, ამობეჭდონ და განათავსონ ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებს სწავლების პროცესში არ შეექმნათ პრობლემები;
- 2.6. საევაკუაციო გეგმები შეცვალონ ახალი სტანდარტების შესაბამისად;
- 2.7. რეკომენდაცია მოძრავი პანდუსების დამზადებასთან დაკავშირებით.
- 2.8. სასურველია ვებგვერდზე ცალკე გამოიყოს პროფესიული განათლება, რომ დაინტერესებული პირთათვის უფრო ადვილად მოსაძებნი იყოს შესაბამისი ინფორმაცია;
- 2.9. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმებში მეტი აქცენტი გააკეთოს ტერიტორიული ერთეულების საჭიროებებზე (მათ შორის დიდი ჯიხაიშის კოლეჯი) მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 3.2. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შექმნასთან დაკავშირებით
- 3.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება შეფასების მეთოდების მიმართულებით, შესაბამისი ტრენინგ-კურსების საშუალებით;
- 3.2. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეს“-თვის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დამატება.
- 3.3. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აისახოს მოდულის დასახელება, რომელზეც ხდება პროფესიული მასწავლებლის მოწვევა

## VII. დაწესებულების მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

*თბილისი, 2019*

აკადემიურ თვითგა¬ნ-ვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრა-ტიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

**უნივერსიტეტი ამ მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს უზრუნველყოს:**

- აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალი ხარისხი ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სამართლის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და მიმართულებათშორისი დარგებისა და სპეციალობების (განსაკუთრებული აქცენტით ევროპის-მცო-დნეობის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საჯარო მმართველობის, სამხედრო მიმართულებით);
- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებულიკადრები;
- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა დაგანვითარება;
- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს);
- განათლებისა და მეცნიერების საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება, კვლევისა და სწავლების რეგიონალიზაცია და ინტერნაციო- ნალიზაცია, კოლაბორაციის განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- უნივერსიტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სისტემის ოპტიმიზაცია.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხედვა:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-

*თბილისი, 2019*

- უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწო- რობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საერთაშორისო გამოცდილების არა მარტო პასიური გაზიარება, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა;
- ისეთი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნა, სადაც და რისი საშუალებითაც კულტურული კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ღირებუ- ლებები – თავისუფლება და ღირსება იქნება განხორციელებული;
- ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბა¬ზი-სის შექმნა;
- მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელების ჩამოყალიბებას როგორც რეგიონულ, ისე ინტერნაციონალურ დონეზე. ახალი ორგანიზაციული ერთეულებია სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტთაშორისი საუნივერსიტეტო სტრუქტურები (გრადუირე- ბულთა სკოლები და კოლეგიები). მაღალრეიტინგულ მკვლევართა ჯგუფები–„ექსელენს კლასტერები“ (Excellent Cluster) და ცოდნის ტრანსფერის ხელ- შემწყობი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ახალი თემების იდენტიფიკაციას, მათ სისტემურ ხელშეწყობას დაგაძლიერებას;
- ტრადიციული ორგანიზაციული ერთეულების (ფაკულტეტი, დარგობრივი დეპარტამენტი, სხვადასხვა ტიპის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.) მოდერნიზაცია და გაძლიერება, რადგან დარგობრივი და თემატური განვითარების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია **უსდ**-ების გამართული ფუნქციონირებისათვის, სწორედ ამ სტრუქტურებში ხორციელდება. იმავ-დროულად, ტრადიციული სტრუქტურები მაქსიმალურად პოზიტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ახალ სტრუქტურებთან, რაც მეცნიერების განვითარების კომპლექსურობისა და დინამიკურობის წინაპირობაა. ასე რომ, მატრიცული ორგანიზაციის სხვადასხვა დონე და ვარიანტები თანამედროვე უნივერსიტეტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია;
- ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის განვითარება, რაც ხელს უწყობს ცოდნის ახალი ველის იდენტიფიცირებასა დაგანვითარებას; შესაბამისად, აუცილებელია ძველი და ახალი აკადემიური სტრუქტურების მდგრადობის შენარჩუნება და ურთიერთკოორდინაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



–

*თბილისი, 2019*

ღირებულებები:

- უნივერსიტეტის ავტონომია ეფუძნება უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ- მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიგაავტონომიურობას;
- სტუ თავისუფალია სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების გავლენისაგან, მაგრამ ტოლერანტულად არის განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელი თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას მის წიაღში;
- აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავი- სუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმი- ნისტრაციისა და სტუდენტებისთვის და, უპირველესად, კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. მეცნიერების პრიო- რიტეტულ სფეროებში ცოდნის საზღვრების გაფართოება უნდა ხორციელ- დებოდეს აკადემიური თავისუფლების, პროფესიული ეთიკისა და კოლეგიუ- რობის პრინციპების დაცვით;
- სტუ-სათვის, როგორც თავისუფალი აკადემიური სივრცისათვის, აუცილებელი კომპონენტია სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად ვითვალისწინებთ უახლესი კვლევის შედეგებს, რაც სწავლას უფრო ღრმასა და მრავალფეროვანს გახდის, ასევე უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასანერგად. ამავე დროს სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული კვლევის პროცესის გაანალიზებაში;
- თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სტუ-ის ყველა წევრის თანასწორობას სტუ-ის მართვასა და სასწავლო-კვლევითი პროცესის ორგანიზებაში. დაუშ- ვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამ პრინციპის რეალიზება ძი- რითადად ხდება სტუ-ის წევრების მიერ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაში თანასწორი მონაწილეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



–

*თბილისი, 2019*

- გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას. თავის საქმიანობაში სტუ ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

–

***თბილისი, 2019***

## სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს (საინდეფიკაციო კოდი 211349192) 2018 წლის 01 ოქტომბერს მიენიჭა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N 76) და ამავდროულად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება (გადაწყვეტილება N 77). ავტორიზაციის ვადად დაწესებულებას განესაზღვრა 2024 წლის 01 ოქტომბერი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 1174-ით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა მისამართზე, მათ შორის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯშიც, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის N1471 დადგენილების საფუძველზე გამოეყო სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს და გადავიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრუქტურაში. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნის მისაღწევად ფაკულტეტის დებულების თანახმად დასახულ ამოცანებს შორისაა პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მქონე პირების მომზადებაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 4 პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა, რომელთა განხორციელებაც, ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, იგეგმება დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯში.
პროგრამები დამტკიცებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/08 დადგენილებით და მოდიფიცირებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/34 დადგენილებით.

დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის დასახელება, პროგრამის მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები. გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში, ქართული ენის შესაბამისი დონის სწავლება და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია 3.13).

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამებს ახლავს - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ. განსახორციელებლად შერჩეული პროგრამები სრულ თავსებადობაშია დაწესებულების მისიასთან და ფაკულტეტის მიზნებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ მოდულური პროგრამების შერჩევის დასაბუთების მიზნით, დაწესებულების წარმომადგენლებმა შეისწავლეს პროგრამების შინაარსი, მოთხოვნები ადამიანური და მატერიალური რესურსების მიმართ და შესაბამისად მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამების არჩევასთან დაკავშირებით.

პროფესიულ მასწავლებლებს ჯერ არ აქვთ შემუშავებული კალენდარული გეგმები. მათთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი ავტორიზაციის მიღების შემდგომ გეგმავენ კალენდარულ გეგმების საბოლოო ვარიანტის შედგენას.

**ცენტრში გადმოგზავნილი პროგრამებში გაპარული იყო რიგი შეცდომებისა მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. მაგ: ჩარჩენილი იყო სიტყვა - სარეკომენდაციო 3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებაში და 3.2. საათების განაწილების სქემაში. ეს შეცდომები, პროგრამის ხელმძღვანელების**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2019*

**მიერ, ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა, თუმცა ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით მისი დადასტურება ვერ მოესწრო.**

ეს პროგრამებია:

- **მევენახეობა** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობაში / Basic Vocational Qualification in Viticulture. პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - სოფლის მეურნეობა/Agriculture (სარეგისტრაციო ნომერი 09114-პ).
  პროგრამა საერთო ჯამში მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტს მოიცავს ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტს პროფესიული მოდულები. დაწესებულების მიერ დასაბუთებულია და შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15, განმახორციელებელთა რაოდენობა - 8. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B აუდიტორიები. ორივე აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით და სკამებით (20 მაგიდა და სკამი). B გარემოში განთავსებულია ასევე 15+1 კომპიუტერი. C გარემოდ გამოყენებულია კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული პრაქტიკის ობიექტი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზა, (სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. N 126), რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N01-08-16/1121-2019-2, 2019 წლის 28 იანვარი. მემორანდუმი ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ითვალისწინებს კალენდარული წლის განმავლობაში 15 პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფას.
  ხელშეკრულება N01-08-15/1129-2019-1 გაფორმებულია ასევე კომპანია „მეღვინეობა ხარებასთანაც“ (თერჯოლა). ამავე ხელშეკრულების თანახმად კომპანია კალენდარული წლის განმავლობაში 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებს. ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
  დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც საქ-სტატის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, თითქმის ორჯერ შემცირდა ყურძნის წარმოება დასავლეთ საქართველოში, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად გამოწვეულია კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობით. დაწესებულებამ ასევე დაადგინა, რომ ზესტაფონის, ბაღდადისა და ვანის რაიონებში დღევანდელი მდგომარეობით არსად ხორციელდება მევენახეობის პროგრამა, მიუხედავად პროფესიულ კადრებზე დიდი მოთხოვნისა.

- **მეფუტკრეობა** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში / Basic Vocational Qualification in Beekeeping. პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

დოკუმენტის საფუძველზე - სოფლის მეურნეობა/Agriculture (სარეგისტრაციო ნომერი 09114-ვ). საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - მეფუტკრეობა მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტს მოიცავს ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტს პროფესიული მოდულები.

- დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია - 15 სტუდენტი, განმახორციელებელთა რაოდენობა - 11. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B აუდიტორიები შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით სკამებით და კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებობს C გარემოც, პროგრამის განსახორციელებლად სტუ-მ შეიძინა 30 ოჯახი სასწავლო საფუტკრე და 20 სტუდენტისთვის საჭირო მინიმალური ხელსაწყო იარაღები და ეპიკირება. პრაქტიკული ნაწილის განსახორციელებლად ხელშეკრულება (N01-08-15/1119-2018-2, 29 სექტემბერი 2018) გაფორმებულია შპს „სკასთან“ (სამტრედია, სოფელი ბაში), რომელიც თავის მხრივ იღებს პასუხისმგებლობას, რომ კალენდარული წლის განმავლობაში უზრუნველყოს ერთდროულად 15 სტუდენტის მიერ სრულფასოვანი და ეფექტური პრაქტიკული სწავლება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც დაწესებულებას ჰყავს მძლავრი ადამიანური რესურსი, სოფელ დიდ ჯიხაიში და სასწავლო საფუტკრის ტერიტორიაზე უხვადაა სანექტარე მცენარეები, სასწავლო მეურნეობას გააჩნია მეფუტკრეობისთვის საჭირო კულტურების დათესვის შესაძლებლობა.

- **ბუღალტრული აღრიცხვა** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/08 დადგენილებით და მოდიფიცირებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/34 დადგენილებით. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 11 ჯამური კრედიტის რაოდენობით და სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ 16 მოდულს 88 ჯამური კრედიტის რაოდენობით, სულ 99 კრედიტი. პროგრამას ახლავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია - 15 სტუდენტი, განმახორციელებელთა რაოდენობა - 7. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B აუდიტორიები შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით სკამებით და კომპიუტერებით. დაწესებულების მიერ ნაყიდია და კომპიუტერში ჩაწერილია საბუღალტრო პროგრამა ორისი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც თანამედროვე პირობებში საბუღალტრო და საფინანსო საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია როგორც საჯარო, ისე მსხვილი, საშუალო თუ მცირე ბიზნესის დაწესებულებების აუდიტორული თუ სხვა საფინანსო კომპანიების ფუნქციონირება, ხოლო იმერეთის რეგიონში და კერძოდ სამტრედიასა და მის მიმდებარე

რაიონებში არ არის ისეთი პროფესიული სასწავლებელი, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს სრულყოფილად დაეუფლონ ამ პროფესიას. დაწესებულება ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ადგილობრივი მეწარმეები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი საქმიანობის სწორად წარმართვას, დაინტერესებულნი არიან ბუღალტერიის შესწავლით. ამას ემატება ისიც, რომ დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული მასწავლებლები და მატერიალური რესურსი.

- **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/08 დადგენილებით, ხოლო მოდიფიცირებულია სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/34 დადგენილებით. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს 16 ჯამური კრედიტის რაოდენობით, 5 პროფესიულ მოდულს ჯამური 31 კრედიტის ოდენობით და 3 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 60 კრადიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი. პროგრამას ახლავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია - 15 სტუდენტი, განმახორციელებელთა რაოდენობა - 7. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B აუდიტორიები შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით სკამებით და კომპიუტერებით. პროგრამას ახლავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაც.

**ექსპერტთა მიერ, ვიზიტის პერიოდში, განხორციელდა 2 პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან გასაუბრება:**

- შპს „სკა“, რომელიც მდებარეობს სამტრედიის, სოფელ ბაში, უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი, გამოყოფილია სასწავლო და დასასვენებელი ოთახები სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, რომელიც პრაქტიკის ხელმძღვანელიცაა, ინტერვიუირებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ მას კარგად აქვს შესწავლილი წარმოდგენილი პროგრამა და ის შედეგები, რომლებიც პრაქტიკის ობიექტზე უნდა იქნას მიღწეული. ხელშეკრულების თანახმად კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას კალენდარული წლის განმავლობაში უზრუნველყოს მეფუტკრეობის პროფესიული პროგრამის 15 სტუდენტის ერთდროულად სრულფასოვანი და ეფექტური პრაქტიკულ სწავლება. ხელშეკრულება N01-08-15/1119-2018-2, 29 სექტემბერი 2018.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული პრაქტიკის ობიექტი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზა, (სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. N 126, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N01-08-16/1121-2019-2, 2019 წლის 28 იანვარი. მემორანდუმი ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ითვალისწინებს კალენდარული წლის განმავლობაში 15 პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფას) ასევე შეძლებს დააკმაყოფილოს მევენახეობის პროფესიული პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკის მოთხოვნები. გავესაუბრეთ პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც კარგად იცნობს პროგრამას და სრული მზადყოფნა გამოხატა სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით;
- სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/08 დადგენილებით;
- სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/34 დადგენილებით.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის N738 დადგენილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურით;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით 2018-2024 წწ. (დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე დადგენილება N01-05-04/69, 09.03.2018 წ)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით № 15;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის (საინდეფიკაციო კოდი 211349192) 2018 წლის 01 ოქტომბერს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის (გადაწყვეტილება N 76) და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების (გადაწყვეტილება N 77) მინიჭების ოქმით;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებით (შემუშავებული ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოქმი N30, 2018წ);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებით, სასწავლო გეგმებით და შეფასების სისტემით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (კომპანია „მეღვინეობა ხარებასთან“ ხელშეკრულება N01-08-15/1129-2019-1; შპს „სკასთან“ ხელშეკრულება N01-08-15/1119-2018-2, 29 სექტემბერი 2018; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზასთან- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N01-08-16/1121-2019-2, 2019 წლის 28 იანვარი.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილებით;
- სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების 2018 - 2019 წლების კატალოგი, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგში წარმოდგენილია ის მოდულური თუ საგნობრივი პროგრამები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს, თუმცა მასში არ არის წარმოდგენილი დიდი ჯიხაიშის კოლეჯი, რამდენადაც იქ საგნობრივი პროგრამების სწავლება დამთავრებულია, ხოლო მოდულური პროგრამების სწავლება არ დაწყებულა.

<u>კატალოგში დარჩენილია 1 პროგრამა - ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) - რომელსაც დიდი ჯიხაის კოლეჯი ადრე ახორციელებს.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამ პროგრამის კატალოგიდან ამოღებასთან დაკავშირებით და ასევე იმასთან დაკავშირებით რომ ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში კატალოგში ასახოს წარმოდგენილი პროგრამები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კატალოგით;
- ვებ- გვერდით - http://gtu.ge/

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

წარმოდგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით და ჩარჩო დოკუმენტებით

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებით გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის წესი. დებულების დოკუმენტის თანახმად პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვების დაკმაყოფილების საფუძველზე (29.10.2014. N1313). ამავე დოკუმენტში გაწერილია სტუდენტის ჩარიცხვის წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონთან.

დებულების VII თავის 26 მუხლის თანახმად განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესები, მისი უფლებები და ვალდებულებები.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესებს არეგულირებს - სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაც. ამ დოკუმენტის მუხლი N5 განმარტავს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებს და კერძოდ სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი შეიძლება გახდეს ა) ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადმიური (სასწავლო) რეგისტრაციის გაუვლელობა; ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სხვა. სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სტუ-ს რექტორს.

ამავე დოკუმენტის მუხლი N 6 -ით განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება მისი გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად.

N7 - მუხლით განხილულია სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევები და პროცედურები. ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ სტატუსის შეწყვეტიდან თორმეტი თვის განმავლობაში სტატუსშეწყვეტილი პირი ითვლება სტატუსშეჩერებულად და უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის თანახმად შემუშავებულია შიდა მობილობის წესები.

შიდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამის ჯგუფში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია ხუთზე, აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტი შესაძლებელია გადავიდეს მის მიერ ჩაბარებული





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე. მობილობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს არჩეული პროგრამის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღების პირობებს.
შიდა მობილობის მიზნით პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს ჩარიცხვის ბრძანების სტუ-ს ვებგვერდზე განთავსებიდან ერთი კვირის ვადაში.
შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ ისარგებლებს შიდა მობილობის უფლებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. (29.10.2014 №1313).
დოკუმენტში - პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება- მუხლი N 2 განმარტავს მიღებული განათლების აღიარების წესებს, პროფესიული სტუდენტებისთვის. წარმოდგენილი წესები სრულ შესაბამისობაშია კანონით განსაზღვრულ წესებთან.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით;
- დოკუმენტით პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება;
- სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
სტუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც აღწერილია სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში. დოკუმენტის პირველი მუხლის










თანახმად ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სტუ-ს რექტორი. დოკუმენტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტის მობილობით გადმოყვანა და ჩარიცხვა ფორმდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით.

სტუ უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს მობილობა შემდეგი გარემოებების წარმოშობისას:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და სტუ-ს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ინსტრუქციის მე -5 მუხლის მე-6 პუნქტში არის ჩანაწერი, რომელიც განმარტავს, რომ აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუ აღნიშნული პროგრამის სტუდენტს დაეხმარება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა პროგრამის შერჩევაში, ხოლო მის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაზე სურვილის გამოთქმის შემთხვევაში - დაწესებულების და პროგრამის შერჩევაში.

ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სტუ-ს არ გააჩნია განსაზღვრული პროგრამა, სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას, რათა მან დაასრულოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს მონათესავე ან/და იმავე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ დაწესებულებასა და სტუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე.

სტუ-ს მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ კოლეჯებთან: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯთან „ახალ ტალღასთან“; სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯთან „სპექტრი“; სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტთან - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

რამდენადაც ამ კოლეჯებიდan მხოლოდ ერთი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ ახორციელებს საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამებიდან სამს: მევენახე; ბუღალტრული აღრიცხვა; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა - ექსპერტების მიერ კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, რომ მოიძიონ და გააფორმონ მემორანდუმები სხვა დაწესებულებებთანაც, რომლებიც მათ მიერ შერჩეულ პროგრამებს ახორციელებენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, სრულად დააკმაყოფილონ და უზრუნველყონ სტუდენტთა მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით;
- გაფორმებული მემორანდუმებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სტუ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N 01-05-04/108 დადგენილების შესაბამისად შემუშავებულია დოკუმენტი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. მისი შემუშავების პროცესში პირველ რიგში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო სტანდარტებში მოცემული შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია;

1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა;

1.3. თანამშრომელთა ჩართულობა.

1.4. მუდმივი გაუმჯობესება;

1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე დოკუმენტის თანახმად;

1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრუქტურა ფუნქციონირება და განვითარება დაეფუძნა ISO 9000 სერიის ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და მის საფუძველზე შეიქმნა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის შემუშავების საფუძველი გახდა უნივერსიტეტის მისია მიზნები ხედვა და ღირებულებები. ის ძირითადად ეფუძნება სწავლის სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით N01-09-10/38 შექმნილია ასევე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მოვალეობებში შედის მონიტორინგის გეგმის შედგენა და შესაბამისად მონიტორინგის ჩატარება, ლექციებზე დასწრება, საჭირო ინფორმაციის შეგროვება, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების შემუშავება, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჩატარება, ყოველი თვის 25 რიცხვამდე სრული ინფორმაციის წარდგენა პროგრამების დანერგვის მიმდინარეობის შესახებ,

დიდი ჯიხაიშის კოლეჯში ჯერ არ განხორციელებულა მოდულური პროგრამები, თუმცა ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად მუშაობს პროგრამების დანერგვისთვის, განიხილავს სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების საშუალებებს, ამზადებს კითხვარებს და გეგმავს სამომავლო მუშაობის გზებს. დაწესებულება ზრუნავს საკუთარი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება პედაგოგების ჩართულობით სხვადასხვა ტრენინგებში, რომელსაც მათ ხარისხის მენეჯერი უტარებთ. დიდი ჯიხაიშის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) განხორციელების შეფასების წესის შექმნასთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწესებულებამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით. გეგმაში რეკომენდაციების განხორციელება დასრულდება 2019 წლის ივნისის ბოლოსთვის.

რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N 01-05-04/108 დადგენილებით;
- დოკუმენტით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“.
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით N01-09-10/38 მოდულური პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმით

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1. დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართის ოდენობა:

| № | მისამართი | ფართი |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 1 | სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი | • 14252 კვ.მ. ძირითადი სასწავლო კორპუსი მიწის ფართობი 118.609 კვ.მ<br>• 412 კვ.მ. მასწავლებელთა სახლი მიწის ფართობი 3400 კვ.მ<br>• 986.9 კვ.მ.სასწავლო მეურნეობა 170 725 კვ.მ |

უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯს გააჩნია ძალიან კარგი მდებარეობა და აქვს დიდი ეზო, თუმცა შენობა ნაგებობები, რომლებშიც განთავსებულია დაწესებულება საჭიროებს კაპიტალურ განახლებას. განსაკუთრებით თვალში საცემია შენობის ფასადი და სახურავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია სარემონტო სამუშაოების წარმოება, მაგრამ ადმინისტრაციის განმარტებით ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ჯერჯერობით ამისათვის საჭირო თანხის მოძიება ვერ მოხერხდა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ განათლების სამინისტროს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადაწყვეტილი აქვს პროფესიული კოლეჯის ბაზაზე ინოვაციური სასწავლო-სამეწარმეო კოლეჯის დაარსება. მათი ინფორმაციის თანახმად ინიციატივის განხორციელებაში სრულად ჩაერთვება აშშ აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISU) და სათემო კოლეჯების გაერთიანება (CCID). ინიციატივის თანახმად, მრავალპროფილიანი, მულტიპროგრამული სასწავლო-საწარმოო კოლეჯი, თავისი შინაარსის, დანიშნულების, ფუნქციებისა და სტატუსის მიხედვით ამერიკული სათემო კოლეჯის ანალოგი იქნება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- შენობების აზომვითი ნახაზებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება და დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით კოლეჯში გამოყოფილია I კორპუსის II სართულის 6 აუდიტორია, რომლებიც სავსებით საკმარისია წარმოდგენილი პროგრამების და მოთხოვნილი კვოტის დასაკმაყოფილებლად.
**მეფუტკრეობის პროგრამისთვის** (მოთხოვნილი კვოტა -15 სტუდენტი) გამოყოფილია აუდიტორია N2. მასში განთავსებულია 15 სასწავლო მაგიდა და სკამი, **კარადები და თაროები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროექტორი და კომპიუტერი, პროგრამით მოთხოვნილი ყველა მატერიალური რესურსი.**
**მევენახეობის პროგრამისთვის (მოთხოვნილი კვოტა -15 სტუდენტი)** გამოყოფილია აუდიტორია N9. მასში განთავსებულია 15 სასწავლო მაგიდა და სკამი, კარადები და თაროები, პროექტორი და კომპიუტერი, **პროგრამით მოთხოვნილი ყველა მატერიალური რესურსი.**
**ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისთვის (მოთხოვნილი კვოტა -15 სტუდენტი) გამოყოფილია** აუდიტორია N3, რომელშიც განთავსებულია 15 სასწავლო მაგიდა და სკამი, საკეტიანი კარადა და თაროები, პროექტორი და კომპიუტერი, **პროგრამით მოთხოვნილი ყველა მატერიალური რესურსი.**
**ინფორმაციული ტექნოლოგიის პროგრამისთვის ( მოთხოვნილი კვოტა -15 სტუდენტი) გამოყოფილია** აუდიტორია N7, რომელშიც განთავსებულია 15 სასწავლო მაგიდა და სკამი, კარადები და თაროები, პროექტორი და კომპიუტერი, **პროგრამით მოთხოვნილი ყველა მატერიალური რესურსი.**
ამავე პროგრამებისთვის შექმნილია 2 „B“ გარემოც, რომლებშიც, თითოეულში განთავსებულია 16 კომპიუტერი სტუდენტებისათვის და 1 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთო ჯამში მოდულური პროგრამებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ინვენტარი: მერხი -60, სკამი - 65, დაფა - 6, კათედრა - 6, პროექტორი - 6, პროექტორის ეკრანი - 5, კარადა - 4.
სასწავლო აუდიტორიები მოწესრიგებულია და მათში განთავსებული მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე არსებული რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შესაბამისი ზღვრული რაოდენობისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაციით;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზებით;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო.** სასწავლო დაწესებულება და აუდიტორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, ელექტრო ენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემით. კოლეჯში არის სველი წერტილები, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პრსონალისათვის. აუდიტორიების გასათბობად გამოიყენება ელექტრო ღუმელები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ სივრცეში, რომლის გათბობაც და მოვლაც შენობის სიძველის გათვალისწინებით, სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნადი ფონდის დიდი ნაწილიც მოძველებულია და საჭიროებს ჩამოწერას. ამიტომ ჩვენი მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამავე სართულზე არის საკმაოდ კარგი ოთახები, რომლებიც ბიბლიოთეკისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის მოძიების მიზნით, სასწავლო მოდულების მიხედვით შერჩევით გადაამოწმეს ადგილობრივი წიგნადი ფონდი კოლეჯში.

პროგრამებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები დიდი ჯიხაიშის კოლეჯს აქვს ელექტრონული ფორმით და ასევე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია წვდომა სტუ-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ის ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი შედგება სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან. ბიბლიოთეკა წარმოადგენს სტუ-ის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო მომსახურებას ელექტრონული ერთეულებითაც, როგორც სამკითხველო დარბაზში, ასევე დროებით მფლობელობაში გადაცემით. ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" (http://opac.gtu.ge/), რისი საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული) მოძიება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუ-ის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას.

დიდი ჯიხაიშის დაწესებულებაში ელექტრონულ რესურსთან ერთად პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო არ იყო წარმოდგენილი იყო ბეჭდური სახით, რასთან დაკავშირებითაც <u>ექსპერტების მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ამ 4 მოდულური პროგრამისთვის აუცილებელი ლიტერატურა, რომლებიც არ აქვთ ადგილზე ბეჭდური სახით, ამობეჭდონ და განათავსონ ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებს სწავლების პროცესში არ შეექმნათ პრობლემები.</u>

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით, ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა ხარვეზი - ანუ ინტერნეტის მიწოდება ხარვეზებით მიმდინარეობდა. როგორც დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, ხელშეკრულებას ინტერნეტის მიწიდებასთან დაკავშირებით ვადა ჰქონდა გასული, თუმცა მათივე განმარტებით, მომზადებულია ახალი სატენდერო წინადადება და სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტის უწყვეტი მოწოდებით.
საერთო ჯამში დაწესებულებაში სულ 48 კომპიუტერი 5 პროექტორი და 5 კომბაინია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საბუღალტრო საქმიანობის პროგრამული დოკუმენტაციით;
- დიპლომების სექტორის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- ბიბლიოთეკის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- კანცელარიის აღრიცხვის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- არქივის აღრიცხვის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- სამეურნეო დეპარტამენტის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფით;
- სასწავლო პროცესის მართვის, მონიტორინგისა და აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არსებობს „საქმის წარმოების ერთიანი წესი“ და საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა (დამტკიცებულია: ბრძ. N29; 06.02.2018), რომლის მიხედვითაც გაწერილია დოკუმენტირებისა და საქმის წარმოების წესები; სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების (ბრძანება, დადგენილებები, წესები, ინსტრუქციები და სხვ.) გაფორმებისათვის საჭირო რეკვიზიტები, აღრიცხვა და ა.შ.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო-მეთოდური დოკუმენტების, ბრძანებების, ხელშეკრულებების, დადგენილებეის და სხვა სამართლებრივი აქტების აღრიცხვიანობა. გამოცემული აქტებისათვის ნომრის მინიჭება თარიღის ჩვენებით, აკინძვა და შენახვის ვადის გასვლის შემდეგ არქივში გადაცემა. გასული და შემოსული კორესპოდენციის (წერილების) რეგისტრაციაში გატარება.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება №29 06.02.2018) საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- ბრძანებების წიგნით;
- ბრძანებების რეესტრით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**
**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**
**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**
**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**
**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სტუ-ს შემუშავებული აქვს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (დადგენილება 01-06-02/06 14.02.2018) და რომელშიც გაწერილია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

დიდი ჯიხაიშის დაწესებულებას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით და პირველადი საჭიროების მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. შექმნილია სამედიცინო მომსახურების რეგისტრაციის ჟურნალი.

<u>შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, მაგრამ შესაცვლელია ახალი სტანდარტების შესაბამისად.</u>

პირველი სართულის კედელზე გამოკრულია სახანძრო უსაფრთხოების სტენდი და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახანძრო უსაფრთხოების წესები. სართულებზე განთავსებულია დატენილი ცეცხლმაქრები.

წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დიდი ჯიხაიშის სასწავლო დაწესებულება, შენობის სიძველის გამო, ნაწილობრივ არის ადაპტირებული სსსმ პირებისთვის. დაწესებულების მხოლოდ შესასვლელ კიბეებზე და პირველი სართულის ერთ ნაწილში არის დამონტაჟებული პანდუსები. ასევე პირველ და მეორე სართულებზე არის ადაპტირებული სველი წერტილებიც. რამდენადაც სწავლება იგეგმება მეორე სართულზე დაწესებულების მესვეურებს მიეცათ რეკომენდაცია მოძრავი პანდუსების დამზადებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ პანდუსების დამზადებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით.
- დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და ინფორმაცია პერსონალის შესახებ. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული სახელმძღვანელოები. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

<u>თუმცა, რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა ვებგვერდზე ცალკე გამოყოს პროფესიული განათლება, რომ უფრო ადვილად მოსაძებნი იყოს შესაბამისი დოკუმენტები. პროფესიული პროგრამების კატალოგიდან ამოიღოს პროგრამა, რომელიც დიდ ჯიხაიში აღარ ხორციელდება.</u>

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სტუ-ის სიახლეები და მოვლენებით" www.gtu.ge;
- ელექტრონული ფოსტის სერვისით https://mail.gtu.ge;
- საკონტაქტო ინფორმაციით http://gtu.ge/Contact;
- სტუ-ის სტრუქტურით http://gtu.ge/AboutStu/structure/stu-structure.php;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- სტუ-ის ფაკულტეტებზე განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტით“ http://publishhouse.gtu.ge;
- სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკით http://gtu.edu.ge/library.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სტუ-ს შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2018-2024) და სამწლიანი (2018-2020) სამოქმედო გეგმა, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ავტონომიური, ფართოპროფილიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით. იგი ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა-განვითარებაზე. სტუ-ში რეალიზებული მულტიდისციპლინური პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს უსდ-ს ბოლონიის პროცესში ინტეგრაციას ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით და, შესაბამისად, საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თავისი მოღვაწეობის თითქმის ასწლიან პერიოდში ღირსეულად დაიკავა წამყვანი პოზიცია არა მარტო საქართველოს უნივერსიტეტებს შორის, იგი, აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024 წწ.) გათვალისწინებით, შედგენილია სტუ-ის სამწლიანი (2018-2020) სამოქმედო გეგმა რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

შესრულებული სამუშაოსა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი მიზნების დაგეგმვა, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული პირი.

დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების მონიტორინგის მექანიზმები მოცემულია სტატეგიული განვითარების გეგმაში, ხოლო შედეგები - უნივერსიტეტის საქმიანობის წლიურ ანგარიშებში.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო „ტურინის პროცესში“. ამ პროცესში მონაწილეობით სტუ-ს საშუალება მიეცა ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ზრუნავს, რომ პროფესიული განათლება აღარ განიხილებოდეს, როგორც ვიწრო პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სფერო, არამედ როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, თვითრეალიზაციის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სისტემა. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობისა და კერძო სექტორის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს , რომ SWOT ანალიზში პროფესიული განათლება დაწესებულებას ძლიერ მხარეებში ჰყავს მოხსენიებული.

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში სხვა კომპონენტებთან ერთად განიხილება სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანები და მათ შორის ყურადღება გამახვილებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებაზე.

დიდი ჯიხაიშის კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, თავად შექმნან მათი დაწესებულების განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/12;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/69 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);
- სტუ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



## 3. ადამიანური რესურსი

### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯს ჰყავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი წარმოადგენს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი, რომელიც ასახულია ფაკულტეტის დებულებაში (ოქმი #30, 2018 წელი) მასზეც ვრცელდება. თანამდებობის დაკავების წესი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 36 მუხლით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესის 2 მუხლით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით).
ასევე, დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის დებულებაში (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება # 01-04-05/187, 25 ივლისი, 2018 წელი) განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის უფლება-მოვალეობები და დანიშვნის წესი, დირექტორს შეიძლება ჰყავდეს ორი მოადგილე, ხოლო კოლეჯის თანამშრომელთა პოზიციები და რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტში დადგენილი წესით, საშტატო განრიგის შესაბამისად.
დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 19 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. კოლეჯს ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი და ბიბლიოთეკარი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება (ფაკულტეტის საბჭოს ოქმი #30, 2018 წელი); http://gtu.ge/Agro/pdf/agros_debuleba_2018.pdf
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის დებულებაში (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება # 01-04-05/187, 25 ივლისი, 2018 წელი).
- http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenilebebi_2018_187.pdf

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტაციის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში „მევენახე“, „მეფუტკრე“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა,“ პროგრამების განხორციელებისათვის წინასწარი შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია პერსონალთან, რომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ პროფესიულ/დარგობრივი კვალიფიკაცია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის შექმნასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლამ გამოავლინა ასევე, რომ მათ მრავალი ტრენინგი აქვთ გავლილი სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. თუმცა მათთან გასაუბრებისას გამოიკვეთა შემდგომი გადამზადების საჭიროება, რაც განპირობებულია მოდულური სწავლების თავისებურებებით.

<u>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება შეფასების მეთოდების მიმართულებით, შესაბამისი ტრენინგ-კურსების საშუალებით.</u>

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პროცესში გადამოწმებულ იქნა პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.

**„ბუღალტრული აღრიცხვა“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების 7 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ შესაბამის პროგრამაზე მოთხოვნილია 15 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 15/7.

**„ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების 7 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ შესაბამის პროგრამაზე მოთხოვნილია 15 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 15/7.

**„მეფუტკრე“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ შესაბამის პროგრამაზე მოთხოვნილია 15 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 15/11.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეების გადამოწმებისას, არსებული დოკუმენტაციით (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობებს.

**„მევენახე“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების 8 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ შესაბამის პროგრამაზე მოთხოვნილია 15 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 15/8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო მოდულებში გათვალისწინებულია მხოლოდ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 13 მოდულში ერთი პროფესიული მასწავლებელი. დაწესებულების განმარტებით, მათ ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დამატების შესაძლებლობა, რომლებთანაც გაფორმდება შესაბამისი წინასწარი ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეს“- თვის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის დამატება.**
ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინტერვიურება პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან. დასტურდება, რომ წარმოდგენილი პერსონალი თავისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით შეესაბამება განსახორციელებელ პროგრამებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ინტერვიუირებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეულ

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით (თავი IV) და საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილებით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიურ დეპარტამენტში მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის და მასწავლებლის სამსახურში მიღება ხორციელდება ღია კონკურსის ან არჩევის გზით. ზემოთაღნიშნული დოკუმენტები არ მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე, სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. ერთ-ერთი რეკომენდაციაა: „სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს და შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურში აყვანის ფორმალური წესი, რითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი და ზოგადად პროფესიული განათლება გაიმიჯნება აკადემიური განათლებისაგან და სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორ ხდება მათთან შრომითი ურთიერთობების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონიერი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებას. აღნიშნული ასევე უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევას კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას უზრუნველყოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციების დაცვა“. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 2019 წლის 24 აპრილამდე.

ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სადაც განთავსებული იყო პროფესიული მასწავლებლების CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის მათ მიერ გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტები და რეკომენდაციები. ასევე, პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც მითითებულია, რომ დასაქმებული იღებს ვალდებულებას მოამზადოს შესაბამისი მოდულური პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და ძირითად ხელშეკრულებაში ჩაიწერება, რომ პერსონალი მონაწილეობას იღებს პროგრამის განხორციელებაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში არის ასევე ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ზოგიერთ პროფესიულის მასწავლებელზე მითითებულია, რომ არის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგიერთზე მოწვეული სპეციალისტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს არის ტექნიკური ხარვეზი, ამას ადასტურებს მათთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული იმ მოდულების დასახელება, რომელთა განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: ხელშეკრულებაში აისახოს მოდულის დასახელება, რომელზეც ხდება პროფესიული მასწავლებლის მოწვევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული წინასწარი შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესით, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრემების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით;
- ინტერვიუირებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული ანათლების აფეხური/დოე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | რედიტების აოდენობა ოდულური როგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისთვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | უდენტთა ქტობრივი ოდენობა ისამართები ხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მევენახეობა - | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკა | 60 | 75 | ქართული | სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. | | 15 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



*თბილისი, 2019*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცია მევენახეობაში 0811 | | | | ნიკოლაძის ქ. №126 | | |
| 2 | მეფუტკრეობა | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში 0811 | 60 | 75 | ქართული | სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126 | | 15 |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.<br><br>კოდი 0612 | 60 | 75 | ქართული | სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126 | | 15 |
| 4 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში. კოდი 0411 | 99 | 129 | ქართული | სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126 | | 15 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

თარიღი

20.05.2018

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: